ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2811135

ნომერი: AR1434432

თარიღი : 24.08.2016

გაცემის თარიღი : 15.09.2016

გაცნობის თარიღი : 15.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვაზისუბანი , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 24

აგვისტოს #AR1434432 განცხადებით მომართა კობა მოდრეკილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ვაზისუბნის ქ. #31-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.10.12.017.009), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 14 ოქტომბრიდან 2017 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს იმარ - საქართველო. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882015711793; მომზადების თარიღი: 18/12/2015 წ.; საკადასტრო კოდი: #01.10.12.017.009) მიხედვით, საპროექტო ობიექტის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს იმარ - საქართველო. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B16013430; მომზადების თარიღი: 03/02/2016 წ.; ს/კ: #405038784) თანახმად, შპს იმარ - საქართველოს დირექტორს წარმოადგენს ზვიად იმედაშვილი. 2015 წლის 04 სექტემბრის #AR1339361 განცხადებაზე წარმოდგენილი მინდობილობით ზვიად იმედაშვილმა კობა მოდრეკილაძეს მიანიჭა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საზაფხულო ფართობად 220.5 კვ.მ–ის ნაცვლად 233.6 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობად 1403.0 კვ.მ–ის ნაცვლად 1416.1 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებაში, კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს - 233.6 კვ.მ., საერთო ფართობად – 1416.1 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებით შეთანხმებული +3.30 და +16.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2016 წლის 24 აგვისტოს #AR1434432 განცხადებით წარმოდგენილი +3.30 და +16.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანების სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2232767 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.